პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 80 კ.

# წითელი არმიელი

221 (919) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია თბილისში.

საბჭოთა საქართველოს ესტუმრა კიდევ ერთი მუშათა დელეგაცია. დელეგაციის წევრები არიან ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენლები პარლამენტში.

როგორც სხვა მუშათა დელეგაციების, ისე ამ დელეგაციის მიზანი არის ხელი შეუწყონ ინგლისის პროლეტარიატის და საბჭოთა კავშირის მშრომელთა დაახლოვებას, და ინგლისის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური კავშირის გაღრმავებას და გაძლიერებას.

სათანადო ფაქტებით და ციფრებით, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა კავშირის წინსვლას და ზრდას, დელეგაციას სურს გაფანტოს ის სიცრუის და ცილისწამების ატმოსფერა, რომელსაც ქმნიან ბურჟუაზიული და შემთანხმებლების გაზეთები. ამავე ციფრებითა და საბუთებით დელეგაციას სურს მიაღწიოს ინგლისის ეკონომიურ დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან.

დელეგატებმა მოინახულეს საბჭოთა კავშირის ბევრი ადგილები. დღეს ისინი არიან საქართველოში. ჩვენი სინამდვილის შეფასება მათთვის უფრო ადვილდება იმით, რომ დელეგაციის ზოგიერთი წევრები უკვე იყვნენ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამოქალაქო ომში იყო გართული მუშურ-გლეხური ქვეყანა. ერთი დელეგატთაგანი ამხ. კოუტსი საქართველოშიც იყო 1923 წელს. მან თავის დროზე ღირსეული პასუხი გასცა მენშევიკების ჭორებსა და ცილისწამებებს, რომელსაც ისინი ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ საზღვარგარეთ.

1923 წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ დიდით წაიწია წინ აღორძინების გზაზე. ამაში დარწმუნდებიან თვით დელეგატებიც.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ რომ ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია პირდაპირ შეხედავს სინამდვილეს თვალებში და ღირსეულად შეაფასებს მას.

ბევრი მუშათა დელეგაციები ესტუმრენ საბჭოთა კავშირს.

მათი მოგზაურობა უნაყოფოდ არ რჩება. მათი საშუალებით ევროპის მუშათა კლასი ეცნობა საბჭოთა ქვეყნის ნამდვილ ცხოვრებას და ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების პროვოკაციას ნიადაგი ეცლება.

ინგლისის მუშათა დელეგაციებმა შესძლეს ის, რომ მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის კავშირს.

ჩვენ გვწამს, რომ ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს ამ კავშირის მეტ განმტკიცებას და აგრეთვე მიაღწევს თავის მთავარ მიზანსაც ინგლისის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დაახლოვებას.

## შემოდგომის ახალწვეული და ჩვენი ყაზარმა.

დღეს თუ ხვალ ჩვენი წითელი ყაზარმები შეივსება ახალწვეულებით და ყაზარმასთან კი შესისხლხორცებული შევბული წითელ-ლაშქრელები დაუბრუნდებიან თავიანთ კერებს, ოჯახებს. მრავალი რთული ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე, რომელთაც სწორი და მართებული გადაჭრა ესაჭიროებათ; განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალწვეულთა ყაზარმებში მიღების საკითხი და სამუშაოს განაწილება მათ შორის. არ იქნება მიზანშეწონილი ახალწვეული უცბად დავტვირთოთ მუშაობით, ის დაშინდება ამით და მუშაობაზე ხელს აიღებს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა შევისწავლოთ ყოველი მხრივ ახალწვეული, აღვრიცხოთ მისი უნარიანობა და მუშაობის შესაძლებლობა ამა თუ იმ დარგში; შემდეგ კი დავაკისროთ მას ესა თუ ის მოვალეობა პარტ-პოლიტ მუშაობაში.

ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში; აგრეთვე ისმება ასეთი კითხვა: „ძველ წითელ ლაშქრელების ნამუშევარი—ნამოქმედარი, ავიღოთ თუ გინდათ ლენკუთხეში, წრეებში და სხვა, დავტოვოთ შეუცვლელად, თუ ახალწვეულებმა თავისი ინიციატივით ხელ ახლა ააშენონ მუშაობა?

ჩემის აზრით აქ აუცილებლივ საჭიროა გათვალისწინება იმ მეთოდისა, რომელიც ჩვენ მიღებული გვაქვს სკოლის გარეშე მუშაობაში, ეგრედ წოდებული **აქტიური—შრომის მეთოდი.** ახალწვეულები თვით, თავისივე შრომით და ოფლით უნდა ეცადონ მუშაობის წარმოებას, ასეთ პირობებში ისინი უფრო გამოიცდებიან მუშაობაში, თორემ „გამზადებულ ლუკმის გადაყლაპვა ძალიან ადვილია". საჭიროა თვით მოიპოვო მოძებნო საშუალება, სულიერ საზრდოებისათვის, ამით უფრო მეტს გამოცდილებას და ცოდნას შეიძენს ახალწვეული; აქ მთლიანად უნდა დავემყაროთ ახალწვეულთა აქტივობაზე და ინიციატივაზე, რომლებიც თავის თავად ცხადია მოახდენენ აღრიცხვას შევბულ წითელ-ლაშქრელების მიერ წარმოებულ პრაქტიკულ მუშაობა-მოქმედებისას, და მათი მუშაობა მტკიცე რეალურ ფორმებში ჩამოყალიბდება.

დაგო.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

### ჩინეთში იზრდება მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ.

ჩინეთში მყოფმა ინგლისის კონსულმა განაახლა მოლაპარაკება ჩინეთის ხელისუფლებასთან ჩინეთსა და ინგლისს შორის დამოკიდებულების შესახებ. ამ მოლაპარაკებამ ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია. ცენტრალურ ჩინეთში იზრდება და ფართოვდება ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა.

## ჩინეთში ძლიერდება მუშათა გაფიცვები.

დაიხურა საფეიქრო ფაბრიკები.

ხანკოუში ძლიერდება გაფიცვები. საფეიქრო ფაბრიკების პატრონებმა უარყვეს მუშათა მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. ამის გამო კვლავ გაიფიცა 5.000 მუშა. საფეიქრო ფაბრიკები დაიხურა.

## ჩინეთის სამხედრო დელეგაცია მოსკოვში.

27 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია. ეს დელეგაცია გამოგზავნა ჩვენში მარშალ ფინ-იუი-სიანმა, რომელიც მეთაურობს ჩინეთის სახალხო არმიას და მომხრეა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრულ განწყობილების.

## საუბარი ჩინეთის სამხედრო დელეგაციის თავმჯდომარესთან

საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომად გენელთან საუბარში ჩინეთის სამხედრო დელეგაციის თავმჯდომარემ გენერალ სიუნ-პინმა დელეგაციის მოსვლის მიზნების შესახებ განაცხადა:

„დელეგაციის მოსვლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში ერთ თვემდი და ამ ხნის განმავლობაში გაეცნობა მნიშვნელოვან დაწესებულებებს საბჭოთა კავშირში".

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის შესახებ სიუნ-პინმა განაცხადა, რომ თვით გეოგრაფიული მდებარეობა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა კარგი განწყობილება ჩინეთის ხალხთა მიმართ ჰქმნის საჭირო ნიადაგს ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

## საბჭოთა კავშირის ჯილდო სტოკჰოლმის გამოფენაზე.

სტოკჰოლმში (შვეციის სატახტო ქალაქი) დაიხურა საკვებ პროდუქტების გამოფენა.

უკანასკნელ დღეს საბჭოთა პავილიონი (გამოფენის ადგილი) ინახულა 100.000 კაცმა. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას მიესაჯა ჯილდოდ დიპლომი და ოქროს მედალი.

## კომუნისტების დევნა და დაპატიმრება ესტონეთში.

უკანასკნელ დღეებში ესტონეთის მთავრობამ დააპატიმრა მრავალი პირი, რომლებიც მონაწილეობდენ დეკემბრის აჯანყებაში. დააპატიმრეს აგრეთვე რამოდენიმე კაცი, რომლებიც ავრცელებდენ ვითომდა უცხოეთიდან შემოტანილ კომუნისტურ ფურცლებს.

## პროტესტი უნგრეთის რეჟიმის წინააღმდეგ.

ცნობილი კომუნისტი ქალის კლარა ცეტკინას, მწერალ ჰანრი ბარბიუსისა და სხვების ხელმოწერით გაეგზავნა უნგრეთის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც პროტესტია გამოთქმული უნგრეთის ციხეებში სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ.

## ამერიკელებს აინტერესებთ ციმბირი.

ამერიკის საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბიურო ეხება ციმბირის მხარეს და ამბობს, რომ ეს მხარე ხელსაყრელ პირობებში დიდ ღირებულებას წარმოადგენს მსოფლიო ბაზრისთვისო. ბიურო შეუდგა სტატისტიკური ცნობების შედგენას ციმბირის შესახებ და ამზადებს ბროშურებს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ციმბირში.

## ყოფილი ომის მონაწილეთა კონგრესი.

ყოფილ ომის მონაწილეთა საერთაშორისო კონგრესი გადაიქცა გერმანიისა და კომუნიზმის საწინააღმდეგო დემონსტრაციად.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მიმართულია ანტანტის სახელმწიფოებისადმი შექმნან ერთიანი ფრონტი კომუნისტურ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, „რაიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის".

## ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები მოსკოვში.

27 სექტემბერს მოსკოვში, კავშირთა სახლში მოხდა 730 მუშის გამოშვება წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლიდან.

გამოშვებას დაესწრენ ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები ხიგსი და სიტრინი.

ინგლისელმა სტუმრებმა დაათვალიერეს შრომის სასახლე, სადაც ითათბირენ პროფმშენებლობის შესახებ პროფსაბჭოს მდივან მელნიჩანსკისთან.

## ამხ. კალინინის სიტყვა შვებულებს.

28 სექტემბერს ამხ. კალინინმა მიულოცა მოსკოვის გარნიზონის შვებულ წითელ-არმიელებს სამსახურის დასრულება და მოუწოდა მათ სოფელში დაბრუნების შემდეგ შეინარჩუნონ წითელ არმიაში სამსახურის დროს შეძენილი სამხედრო სული.

კალინინი შეეხო აგრეთვე შვებულთა ამოცანებს სოფლად და ხაზგასმით აღნიშნა გლეხთა შეგნებულად მოპყრობის აუცილებლობა ომის საკითხებისადმი.

„თუ თქვენ გიყვართ არმია—განაცხადა მან—იმ შემთხვევაში თქვენ შესძლებთ შეიტანოთ ეს სიყვარული გლეხობაში".

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

მიმდინარე სამოსწავლო წელში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას სოფლად და ეროვნულ უმცირესობათ შორის.

სალიკვიდაციო პუნქტებზე იწარმოებს მეცადინეობა პირველ რიგში 1904—1905 წლებში დაბადებულ წვევამდელთა შორის. საკავშირო მთავრობამ გადასდო წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეში მომუშავეთა ხელფასისთვის 1.700.000 მანეთი. გამრავლებულია სალიკვიდაციო წერტები.

## მოსკოვ-ხარკოვ-როსტოვ-ოდესის საჰაერო გზა.

28 სექტემბერს დაიხურა მოსკოვ-ხარკოვ-როსტოვ-ოდესის საზაფხულო საჰაერო გზა.

სულ ამ ხაზებზე გავლილ იქნა 40.000 კილომეტრი გზა და არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

## ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის წევრები ტფილისში.

გუშინწინ საღამოს ტფილისში ჩამოვიდენ ინგლისის პარლამენტის მუშათა პარტიის ფრაქციის წევრები ამხ. უოლხედი, რომელიც 1920 წელს იყო რუსეთში და რომელიც ამჟამად თავმჯდომარეობს დელეგაციას; მარდი ჯონსი, გრენფილდი და ხოლლი. ესენი არიან ინგლისის სამთო-მრეწველობის რაიონების წარმომადგენელნი პარლამენტში.

დელეგაციაში შედის აგრეთვე ამხ. ტაილორი და კოუტსი. უკანასკნელი ცნობილია, როგორც პირველი მდივანი საზოგადოება „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან".

დელეგაციას თან ახლავს აგრეთვე საკავშირო ცაკის წევრი ამხ. პახომოვი.

სადგურზე დელეგაციას შეხვდენ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცაკების წევრები და მთავრობის წევრები.

ტფილისში ჩამოსვლისას დელეგაციის საპატივცემლოთ გაიმართა ამხანაგური სადილი, რომელზედაც დელეგაციას მიესალმა ამ.-კავკ. და საქართველოს ცაკის წევრი და საქ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გეგეჭკორი.

თავის მისასალმებელ სიტყვაში ამხ. გეგეჭკორმა აღნიშნა, საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის მიღწევები აღმშენებლობით ფრონტზე და გამოსთქვა სურვილი, რომ დელეგაცია სწორედ გამოერკვეს იმაში, რაც მოხდა საქართველოში და დარწმუნდეს იმ ცნობების სიყალბეში, რომელსაც ავრცელებენ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. უოლხედმა და მარდი ჯონსმა.

გუშინ დელეგაცია ესტუმრა საქართველოს ცაკს, ამიერ-კავკასიის ცაკს და სხვა დაწესებულებებს.

დ.

## საპლანერო შეჯიბრი.

27 სექტემბერს საბჭოთა კავშირში, ფეოდოსიას ახლოს დაიწყო სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრი.

პირველად გაფრინდა რუსი მფრინავი იაკჩუკი, რომელმაც დაჰყო ჰაერში 43 წუთი.

## მონღოლეთის ახალი სრულ. უფლ. წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში.

27 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ახლად დანიშნული მონღოლეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ბოიან-ჩულგანი.

## სამხედრო საქმე

### სამხედრო საიდუმლო და მისი შენახვა.

„თუ გსურს გამარჯვება—მტერს კბილები გაუსინჯე"- ეს ჭეშმარიტება ყველასთვის აშკარაა.

მართლაც, რომ გაიმარჯვო უნდა იცოდე ყველაფერი, რაც კი ეხება მტერს. ჩვეულებრივად, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს გაძლიერებით ჰკრებენ ცნობებს მტრის შესახებ, უმთავრესად, შპიონაჟის გზით (საიდუმლო ზვერვა-ძიება). მტრის აგენტები მუშაობენ ყველა ქვეყნებში.

ჩვენ ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში ჯაშუშების გასამართლების შესახებ ხან ერთსა და ხან მეორე ქალაქში. როგორც ვხედავთ, მტერს არ სძინავს. ის დიდძალ ფულს ხარჯავს ჯაშუშების შესანახად, რომლებიც აწვდიან მას ცნობებს, უმთავრესად არმიის შესახებ: ორგანიზაციის, სამობილიზაციო მზადების, იარაღის, საბარგულეებისა და ტანსაცმელის მდგომარეობის, საბრძოლო მზადების, მეომართა სულიერ განწყობილების შესახებ და სხვა. ყველა ეს ცნობები, რომლებიც კი ეხებიან ჩვენს არმიასა და ჩვენს კავშირს, წარმოადგენს სამხედრო საიდუმლოებას.

თუ ჩვენს საიდუმლოებას მტერს გავაგებინებთ, ჩვენ ამით ვაძლევთ მას გამარჯვებას, ხოლო თავს კი ვიგდებთ დიდ საფრთხეში. ამიტომ საჭიროა საიდუმლოს შენახვა. მაგრამ როგორ?

პირველ ყოვლისა „ენაზე კბილი უნდა დავიჭიროთ", არ ვილაპარაკოთ სამხედრო საქმეებზე არც მოკეთეებთან, არც ნათესავებთან და მით უფრო-გარეშე პირებთან.

ლაპარაკის დროს თავდაჭერილი უნდა იყო ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი გროვდება: ვაგონში, სადგურზე, ბაზარში, თეატრში, სეირნობის დროსა და სხვა. გახსოვდეს, რომ „კედლებსაც ყურები" აქვს. ამიტომ საჭიროა არ გამოვიჩინოთ ენა-მჭევრობა სამხედრო საქმეების შესახებ.

უნდა ვერიდოთ გარეშე პირებს, რომლებიც კითხულობენ ამბებს არმიის შესახებ.

არ უნდა გამოიჩინო გულუბრყვილობა და არ უნდა ენდო ვისმეს ასეთ შემთხვევებში; უნდა გაარჩიო ადამიანები და იცოდე ვისთან გაქვს საქმე. ჯაშუში ყოველგვარ ეშმაკობასა და ხრიკებს მიმართავს; ის შეეცდება ჩაგიძვრეს გულში, მიგიპატიჟებს, გაგიმასპინძლდება.

თუ ვინმემ კი იცის მნიშვნელოვანი სამხედრო საიდუმლოება, არავის ამის შესახებ არ უნდა უთხრას, თვით უახლოეს მეგობარსაც კი. „ორმა თუ იცის, ღორმაც კი იცის"-ო ნათქვამია.

ამიტომ, რომ სამხედრო საიდუმლოება არ გავამჟღავნოთ საჭიროა მუდამ ფხიზლად ვიყვეთ და, თუ საჭირო იქნება, მეგობარსაც შევაკავებიოთ თავ. ხანდახან კაცს ლაპარაკის დროს წამოცდება ის, რაც საიდუმლოდ უნდა შეენახა. მაგრამ საერთო საქმისათვის სულ ერთია, თუ როგორ იქნა გაცემული სამხედრო საიდუმლო: განზრახ თუ შემთხვევით. საიდუმლოს გამცემი განზრახ თუ უნებლიეთ—სულ ერთია მოღალატეა, გამცემია და სასტიკად ისჯება კანონით. ამ რიგად საიდუმლოდ უნდა შევინახოთ ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს მტრის გამარჯვებას.

 პ.

### სპეციალურ გვარის ჯარის ძიება.

(დასასრული)

**საჰაერო ძიება.** ამ გვარი ძიება ორნაირია: საჰაერო თვალთვალი და ავიოძიება.

საჰაერო ძიება სწარმოებს ჰაეროსტატებიდან, რომელიც თავის მოყვანილობით წააგავს ძეხვს და სახელიც ასეთი ეწოდება. ძეხვი (კოლბასა) დამაგრებულია ფოლადის ბაწარზე; მასზე მიბმულია კალათი, რომელშიაც იმყოფება მოთვალთვალე. ძეხვი აიშვება საგრძნობ სიმაღლეზე და გაჩერებულია უძრავად. მოთვალთვალეს საჭვრეტი მილების საშუალებით შეუძლია აწარმოოს ახლო ძიება, მაგ. 10-20 კილომეტრზე.

მაგრამ ძეხვის ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებლად მოძრაობა და თავის სიდიდის გამო ის კარგი მიზანია მტრისათვის; ამას გარდა თავის უმოძრაობის გამო ის ხშირად ხდება ჰაეროპლანების მსხვერპლი და ხშირად განიცდიან თავდასხმას მათ მხრივ.

ძიების მეორე სახე ჰაეროპლანების საშუალებით ამ ჟამად საუკეთესო ძიების საშუალებაა. აპარატს შეუძლია ჩაიხედოს მტრის ზურგში, შორს დაათვალიეროს მტრის მოთავსება, გაიგოს მის მსხვილ ძალთა მოძრაობა, გამაგრებული ადგილები და სხვა და სწრაფად მიუტანოს ეს ცნობები მის გამგზავნ უფროსს. ამ ცნობების მიხედვით სდგება მოქმედებათა საერთო გეგმა.

მაგრამ იმ ნაწილებისთვის, რომლებიც იმყოფებიან ძალიან ახლოს მტერთან, საჭიროა უფრო დაწვრილებითი ცნობები, როგორც მაგალითად, სად იმყოფება მტრის მოწინავე ნაწილები, სადაა მისი ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები, რეზერვები, სანგრები და სხვა. ამიტომ ჰაეროპლანები იგზავნებიან ახლო ძიებაზე (35-40 კილომეტრზე).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მძიებელ ჰაეროპლანების მუშაობა ბრძოლის დროს. ასეთი ძიება იძლევა საშუალებას სწრაფად გაარკვიო, თუ სად სჯობია დაჰკრა მტერს, სად აგროვებს ის თავის ძალებს, სადაა მისი ფრთები ხომ არ უქადის მტერი ჩვენს ფრთებს და სხვა.

მძიებელ ჰაეროპლანებს დიდ დახმარებას უწევს ფოტოგრაფიული აპარატი, რომლის შემწეობით მფრინავი გადახატავს მტრის მიერ დაკავებულ ადგილს, განსაკუთრებით მის მიერ გამაგრებულ პოზიციებს.

ყველაფერი წვრილმანი, რის შემჩნევაც ადამიანის თვალს არ შეუძლია, ნათლად გადადის სურათზე.

პ.

## ბრძოლაში შესაფერ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა გარემოების სათანადო შეფასება.

თავის ჯარების და მეზობლების მდგომარეობა კარგათ ვიცით და ამიტომ მათ არ ვაფასებთ, მაშინ, როდესაც აუცილებელია გადავსინჯოთ ჩვენი და მეზობელ ჯარების ურთიერთ მდგომარეობა.

არიან ისინი ურთერთ მანევრულ ცეცხლით თუ კიდევ სხვა რაიმე კავშირში, ან შესაძლებელია მეზობელიც სრულებით არ იყვეს. თავის ჯარების მორალური და ფიზიკური მდგომარეობა მეტათ საინტერესოა მეთაურისათვის. მეთაურს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მას საქმე აქვს არა შახმატთან, არამედ ხალხთან და ანგარიში უნდა გაუწიოს მათ ფიზიკურ და მორალურ მოთხოვნილებას.

მეტათ საჭიროა მებრძოლთა რაოდენობისათვის ანგარიშის გაწევაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასროლ მასალის მდგომარეობას და მით შევსების საკითხს დღევანდელ განვითარებულ ტეხნიკურ პირობებში.

**ადგილმდებარეობა.**

ადგილმდებარეობის დაფასების დროს უპირველეს ყოვლისა უნდა იხელმძღვანელო თვით ამოცანით, ვინაიდან ერთი და იგივე ადგილმდებარეობა სხვა და სხვა ამოცანისთვის სხვა და სხვა პირობებს წარმოადგენს. გაშლილი მინდვრები საუკეთესო პირობაა მოგერიებისათვის და სრულებით უვარგისია შეტევისათვის. ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს სვენებისათვის სოფელი, საზოგადოთ დასახლებული ადგილები.

ადგილმდებარეობის შეფასების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ საგნებს და მათ გამოყენებას.

რას უნდა მიექცეს ყურადღება ადგილობრივათ? უპირველეს ყოვლისა—სიმაღლეებს. ისინი განსაზღვრავენ სათვალთვალო პუნქტებს, პოზიციებს, დასაყრდნობ პუნქტებს და სხვას. ადგილმდებარეობასთან ერთად ხშირად გვიხდება ადგილობრივ მცხოვრებთა დახასიათება და სახეში მიიღება მათი მატერიალური სიმდიდრე, როგორც მაგალითად: თივა, ქერი, პური, პირუტყვი და სხვა.

ფრიად მნიშვნელოვანია მცხოვრებთა პოლიტიკური განწყობილება.

**დრო.**

დროს მნიშვნელობა ფრიად საგულისხმო და თვალსაჩინოა ყველასათვის. დრო შეიძლება გაისინჯოს ერთ მხრივ: ერთი როგორც დროის ხანგრძლივობა საათი, წამი. ასეთ დროსთან მჭიდროთ არის დაკავშირებული სივრცე. მაგალითად, მე თუ მაქვს საშვალება ვილაშქრო მხოლოდ სამი საათი, მე ვამბობ, შემიძლია გავიარო მხოლოდ 12 კილომეტრი და სხვა.

დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ და მეტადრე ბრძოლაში. თუ მეთაურმა თავის დროზე არ მიიღო ცნობები ის თავის დროზე ზომებს ვერ მიიღებს. ამას მოყვება ბრძოლის წაგება, ამას მოყვება მრავალი მსხვერპლი.

მეორე მხრივ დრო უნდა შევაფასოთ როგორც წლის დრო: ზაფხული, ღამე, დღე. უეჭველია, ზამთარში სულ სხვა პირობებია ბრძოლისა და ზაფხულში კი სულ სხვა. დროსთან ერთად მჭიდროთ არის დაკავშირებული ამინდიც.

**მტრის ნება.**

მტრის ნებას, თუ კი რომ ის არ გამომდინარეობს წინასწარ მის მაგიერ ამოცანის შესრულებიდან, არამედ შეკრებილია სათანადო სანდო წყაროებიდან დიდ გავლენას ახდენს ამოცანაზე ჩვენი მხრივ. ასეთი ცნობების მიღება შეიძლება: გადმორბენილებისაგან, ტყვევბისაგან, ხელში ჩაგდებულ მტრის ბრძანებისაგან და სხვა.

მეტათ საყურადღებოა აგრეთვე მოპირდაპირის ჯარების მომზადების ხარისხი და მათი უფროსების ხასიათი, მათი საყვარელი ბრძოლის ილეთები, შესაძლებელია წინასწარ ბევრი რამ გაითვალისწინო.

შევაფასებთ რა გარემოების ყველა ელემენტებს და გამოვიტანთ დასკვნებს, ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ერთ დასკვნამდე, რომლიდანაც მივიღებთ ერთგვარ გადაწყვეტილებას.

მ. გ—ძე.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲠ-ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

**5-თე ტერ-ლეგიონი.**

5 სექტემბერს მეხუთე ლეგიონის ყველა ნაწილებმა წერტებიდან თავი მოიყარეს ერთად.

ცვალებადელები პირველ დახიდსავე გამოცხადდენ თავ თავიანთ დანიშნულ ალაგას.

ექვსი სექტემბრიდან დაიწყო მათი სწავლება, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. ცვალებადელები დიდის ყურადღებით ეკიდებიან სწავლას, კარგათ ითვისებენ ყველა საგნებს.

უკვე ორი კვირაა, რაც წითელ ყაზარმას ესტუმრენ და ჩაებენ სწავლაში და თამამად შეუძლიათ გარკვეული პასუხის გაცემა და მოქმედება როგორც წყობილების, ისე მსროლელის, მზვერავის და სხვა და სხვა წესდებებში. ყოველგვარი მეცადინეობა სისტემატიურად ტარდება. მეცადინეობას დაუზარებლად ესწრებიან. თავისუფალ საათებში კითხულობენ გაზეთებს.

კრებებზედაც დაუზარებლად ესწრებიან.

ხშირად ილხენენ სიმღერებითაც.

საცხოვრებელი ბინები კარგი აქვთ. მხოლოდ ასეულებში არა აქვთ საკმარისი საწოლები და კვებაც ვერა აქვთ შესაფერი.

ხშირად პურიც არ არის კარგი. ზომებს ღებულობენ ლეგიონის მესვეურები, მაგრამ ძნელდება ყველაფრის მოწესრიგება.

მიუხედავად ყოველივე ამისა ხელმძღვანელების დაუღალავი შრომით ცვალებადელნი ამ ერთი თვის განმავლობაში მაინც ბევრ რამეს შეიძენენ და დაბრუნდებიან სოფლებში სათანადო ცოდნით აღჭურვილი.

სამხკორი **შაქრო.**

## ᲨᲔᲣᲓᲔᲥᲘᲗ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ.

**5-ე ტერ-ლეგიონი.**

ლეგიონის ქოხ-სამკითხველოს გამგეების მოსამზადებელ კურსებში თეორიული მეცადინეობა უკვე დამთავრდა. ამ ეამად შეუდექით პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობას. მსმენელების მთელი შემადგენლობა იყოფა რამოდენიმე ჯგუფებად და ერთ ერთ აქტიურ და კარგად მომზადებულ წ.-არმიელების ხელმძღვანელობით ცალ ცალკე ჯგუფები ასრულებენ იცემულ ამოცანებს.

პირველი ამოცანა იყო: კლუბში რემედასის კუთხის მოწყობა, რომელიც მიენდო ერთ ჯგუფს გადაეცა მას პლაკატები, ლოზუნგები და სათანადო ლიტერატურა. შეუდგენ მუშაობას. სულ რამოდენიმე ხნის განმავლობაში იქნა მოწყობილი კუთხე და შემდეგ შეუდექით მის შეფასებას.

კუთხემ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ზოგიერთი ამხანაგები შიშობდენ იმის გამო, რომ სოფლად ვერ შესძლებდენ ასეთი კუთხეების მოწყობას, რადგან შესაძლებელია სოფლის აღმასკომებმა ვერ გადასცენ მათ სათანადო ლიტერატურა.

„ამას ვერ გაბედავენო“, სთქვა ერთმა. „იმ შემთხვევაში ჩვენ საშვალება გვაქვს აღმასკომების მოქმედება გავაშუქოთ მუშურ-გლეხური პრესის ფურცლებზეო“, მოუგო მეორემ.

ასე მიმდინარეობს ჩვენი კურსების პრაქტიკული მეცადინეობა.

სამხკორი **ცაცა.**

## ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

**2-რე არტლეგიონი.**

28 სექტემბერს მეორე არტლეგიონში მოწვეული იქნა მთელი შემადგენლობის საერთო კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: პირველი ინტერნაციონალის 61 წლისთავის შესახებ, რემედასის ანგარიშები, ლეგიონის ერთი წლისთავის ჩატარების შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები.

პირველი ინტერნაციონალის 61 წლის თავის გარშემო ილაპარაკეს ამხანაგებმა რუსულ და ქართულ ენებზე. კრებამ მოხსენებიდან საკმაოდ გაიცნო ინტერნაციონალის მთელი ისტორია და შემდეგი მისი განვითარება.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ტყაბლაძე რემედასის უჯრედის მოღვაწეობაზე მოხსენებით. უჯრედის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

ბოლოს ამხანაგმა სამხკომმა აღნიშნა, რომ ამ რამოდენიმე დღის შემდეგ შესრულდება ერთი წელი ნაწილის არსებობიდან, და მოუწოდა კრებას აირჩიონ დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია.

დღესასწაული ჩატარებული იქნება 4 ოქტომბერს, რის გამო აქედანვე იქნა მიღებული საჭირო ზომები.

**ვლ. ნავრუზაშვილი.**

## ᲛᲔ-4-Ე ᲢᲔᲠ-ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-2-Ე ᲐᲗᲐᲡᲔᲣᲚᲘ.

ერთი თვე იქნება, რაც მე 2 ათასეული ჩამოვიდა ქ. ზესტაფონიდან. წამოსვლისთანავე ჩვენი ათასეული შევსებული იქმნა 1901 წელში დაბადებულ ცვალებადელებისაგან.

ათასეული ჩამოსვლისთანავე შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას სხვა ათასეულებთან ერთად.

ამ ერთი თვის განმავლობაში ჩვენმა ცვალებადელებმა ბევრი რამ შეისწავლეს. ყველაზე უფრო ჩვენი ცვალებადელები ეწაფებიან პოლიტიკურ ცოდნას, რომლითაც ძლიერ არიან დაინტერესებული და კიდევაც ნაყოფიერი რჩება მათგან მუშაობა.

წითელ-არმიელები დაყოფილი არიან სხვა და სხვა ჯგუფებათ.

პირველ ჯგუფშია ძირითადი შემადგენლობა, მეორეში 1902 წელში დაბადებულები, მესამეში 1901 წელში დაბადებულები. ამ დაყოფის და მიხედვით მათთან მეცადინეობა ძლიერ ადვილდება. ბანაკში ჩამოსვლამდი მეცადინეობა სწარმოებდა კომპლექსიური მეთოდით, მხოლოდ აქ კი სწარმოებს საუბარი კითხვა—პასუხით. ჩვენ ათასეულის ყოველ ასეულებში აქვთ ლენინის კარვები, ყველა გაზეთები და წიგნები, სწარმოებს ხმა მაღალი კითხვა და სხვა და სხვა საუბრები იმის და მიხედვით, თუ რამდენად დრო აქვთ წითელ-არმიელებს.

საერთოდ ცვალებადელებმა ერთი თვის განმავლობაში ბევრი რამ შეითვისეს.

ეხლა კი ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი ცვალებადელები დაუბრუნდებიან თავთავიანთ სოფლებს და იმედია, რომ ამ ცოდნას ისინი ნაყოფიერად გამოიყენებენ სოფლად.

**ლ. ჭელიძე.**

# ᲨᲔᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

## ᲒᲠᲫᲔᲚ ᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ.

**2-რე ლეგიონი.**

20 სექტემბერს, 2-რე ლეგიონმა გაისტუმრა გაზაფხულზე გამოწვეული ამხანაგები გრძელ ვადიან შვებულებაში. ამ დღეს ლეგიონს ესტუმრენ აჭარისტანის სხვა და სხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც მიესალმენ შვებულ წ. არმიელებს და დაავალეს არ დაივიწყონ სამხედრო ცოდნა. შემდეგ გაიმართა ლეგიონში საზეიმო სადილი, რომელზედაც მიწვეული იქნენ მუშებიც.

სადილის შემდეგ მუშებთან ერთად გავემგზავრეთ ქალაქის პარტიული კლუბის დარბაზში. გაიმართა საზეიმო სხდომა. შვებულ წ. არმიელებს პირველად მიესალმა სამხკომი ამხ. ელიაშვილი, ლეგთავი და სხვა მეთაურები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე დარჩენილი წ. არმიელები და დაავალეს მიმავალთ, მოიწერონ წერილები სოფლის მდგომარეობის შესახებ და არ გასწყვიტონ მათთან კავშირი.

საპასუხოთ გამოვიდენ რამოდენიმე შვებული წ. არმიელები. მათ აღნიშნეს, რომ პირნათლად შეასრულებენ მუშებისა და მათი ამხანაგი არმიელების ყველა დავალებებს. ისინი არ დაივიწყებენ აღმზრდელ წითელ ყაზარმას.

სამხკორი **ლ—შვილი.**

## ᲠᲐ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲗ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

**მე-3 ლეგიონი.**



**ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲚᲚᲐ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲥᲕᲘᲨᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲡ ᲣᲐᲜᲐᲨᲘ.**

მანევრებზე გასვლამდე ჩვენი ლეგიონი ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა მანევრობის ჩატარებისათვის. იმართებოდა მოხსენებები, როგორც წითელ არმიელებთან, ისე უფპოლიტ შემადგენლობასთან. წინასწარმა მზადებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. მანევრობის ჩატარებას, ორი უმთავრესი მიზანი ქონდა: პირველი, სამხედრო ცოდნის შემოწმება; მეორე, გლეხობასთან დაახლოვება. ეს ორი ამოცანა პირნათლად იქნა შესრულებული.

ჩვენი ლეგიონის პოლიტ-კულტურული მიღწევები მანევრობის დროს დიდია.

პირველი საკითხი, რომელსაც ყურადღება ექცეოდა, ეს იყო რომელიმე წითელარმიელს ან სხვას, არ გაეფუჭებია ჭირნახული, ამის ირგვლივ მუშაობა საუცხოვოდ ჩატარდა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა იმის, რომ გლეხები უკმაყოფილოთ დაგვეტოვებიოს. ამან კი საშვალება მოგვცა გლეხობასთან მჭიდროთ დაკავშირების.

ბევრი ჭირვარამი გაგვიზიარეს გლეხობამ, ჩვენც ბევრი რამ შევძინეთ და გავაცანით გლეხობას, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა ისინი.

**რა გაკეთდა.**

ალღუმობის დროის განმავლობაში ჩატარებული იქნა შემდეგი: პარტკრებები 3-ჯერ, დაესწრო 225 კაცი, მათში 105 ქალი. მიტინგი 3-ჯერ, დაესწრო 480 კაცი, მათში 205 ქალი. საერთო კრება 3-ჯერ, დაესწრო 155 კაცი, მათში 55 ქალი. საუბარი 6-ჯერ, დაესწრო 150 კაცი, მათში 30 ქალი. აღნიშნულ ადგილებზე გაირჩა 31 სხვა და სხვა სახის საკითხები, რომელიც აინტერესებდა გლეხობას.

დადგმული იქნა ლეგიონის ძალებით 4 სააგიტაციო ხასიათის წარმოდგენა. დაესწრო 300 კაცი, მათში 130 ქალი. მოეწყო გასამართლება 2-ჯერ. დაესწრო 170 კაცი და 75 ქალი.

ლეგიონმა გახსნა სამკითხველოები ექვს სოფელში, სადაც არ იყო დაურიგდათ წიგნები 249 ცალი, ჟურნალ-გაზეთები 75 ცალი და სხ. სამკითხველოს გახსნამ დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხობაში. გახსნა ხდებოდა ლეგიონის ორკესტრის დასწრებით. მისასალმებელი სიტყვებით გამოდიოდენ გლეხობაც, და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და წითელარმიელებსო“.

სოფელ ბეზენაურში გამოშვებული იქნა ერთი კედლის გაზეთი, რომელზედაც გაშუქებული იქნა უფრო მეტად, გლეხთა საკითხების და მანევრობის მნიშვნელობა.

გადაღებული იქნა სურათები შვიდჯერ სხვა და სხვა სოფლებში, გლეხობასთან; სოფელ ბრილში გადაღებული იქნა გლეხი რევოლიუციონერის სურათი თავის 105 წლის მამით და სხვა.

თუ ჯამს გაუკეთებთ ჩვენი ლეგიონის კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობას, ის ფრიად დამაკმაყოფილებელი იყო. იმედი გვაქვს მომავალში უფრო მეტი გამოცდილებით შეუდგებით ასეთივე მუშაობის წარმოებას და უფრო მეტ ყურადღებას დავიმსახურებთ გლეხობაში.

სამხკორი **ა. ტატიანელი.**

## ᲐᲠᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ.

**1-ლი საკავშირო ასეული.**

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის ლენკუთხეს, ყოველდღე ეგზავნება ამავე ასეულის ბიბლიოთეკიდან გაზეთ „კომუნისტი“ და რამოდენიმე ცალი „წითელ არმიელი“. სამწუხაროთ ეს გაზეთები ვერ ემსახურებიან თავის დანიშნულებას. იმის მაგივრად, რომ გაზეთები იქ დილამდე დარჩეს და ისარგებლოს იმ წითელ არმიელებმა, რომლებიც განწესებაში არიან და ან იქვე სხვა საქმისათვის იმყოფებიან ყაზარმაში და დრო არ აქვთ ისარგებლონ სამკითხველოში გაზეთის წაკითხვით; გაზეთები ლენკუთხეში წაღების 5—10 წუთის შემდეგ სადღაც ქრება.

ნუ თუ საკავშირო ასეულში მოიპოვება ისეთი წითელი მოლაშქრე, რომელმაც არ იცოდეს იქ წაღებულ გაზეთის მნიშვნელობა. ვფიქრობ რომ არა. მაგრამ არიან ისეთი დაუდევარი წითელ არმიელები, რომლებსაც განგებ არა სურთ გაიგონ ეს.

იმედია უფრო შეგნებული არმიელები ყურადღებას მიაქცევენ ამ მოვლენას, ადევნებენ თვალყურს გაზეთებს და მოაშლევიებენ მათ ასეთ დაუდევრობას.

სამხკორი **გ. ჯოხაძე.**

# ახალი ამბები.

— შეღავათები ცენ. გლეხთა სახლს. ტფილისის აღმასკომმა დაადგინა, ცენტრ. გლ. სახლს, მომავალ წელში დაუტოვოს წელს არსებული შეღავათები.

— შემოსავალი ტრამვაიდან. წელს, ტრამვაის ყოველდღიური შემოსავალი აღწევს 7.500 მანეთს, წინაამდეგ შარშანდელი 3 ათასი მანეთისა.

— საზოგადოებრივი გასამართლების მოწყობა. ტფ. დაზღ. სალაროამ დაადგინა მოაწყოს საზოგადოებრივი გასამართლება იმ დაზღვეულთათვის, რომლებმაც თავიანთი დაზღვევის წიგნაკი გადასცეს სხვებს სასარგებლოთ.

— სინათლის გაყვანა. ტფ. აღმასკომს განზრახული აქვს მოაწყოს სინათლის გამყვანი ქსელი საბურთალოსა და ვაკეზე.

— დროებით შრომის უნარდაკარგულებს. ტფილისის დამზღვევმა სალარომ აგვისტოს განმავლობაში დახმარება აღმოუჩინა 2700 შემთხვევისათვის.

— უმაღლეს სამ. საბჭომ დაადგინა შეუდგეს ტყიბულის ქვანახშირის ფხვნილისაგან ხელოვნური კოქსის კეთებას, რომლის მოხმარაც შესაძლებელი გახდება, როგორც საწვავი მასალის.

## პასუხად კორესპონდენტ „ცხენ-ნალი“-ს.

19 სექტემბერის გაზეთ „წითელი არმიელი“-ს № 212 (910)-ში ჩემს წინაამდეგ მოთავსებული ცხენლეგიონის წ. არმიელ ვინმე „ცხენ-ნალი“-ს ფსევდონომით წერილი „გააფრთხილეთ მეკუჭნავე“-ს სათაურით, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ ვითომ მე, როგორც აღნიშნულ ლეგიონის საკავშირო გუნდის მეკუჭნავე, ძლიერ ცუდათ ვეპყრობოდე ამავე გუნდის ამხ. ამხ. წითელ არმიელებს, რაც გამოიხატება ვითომ შაქრის და სხვა მათი ხვედრი სურსათის თავის დროზე არ დარიგებაში და მათ მიერ ამის მოთხოვნის დროს ჩემგან ლანძღვა-გინებით და სხვა მკაცრი სიტყვებით მათდამი მიმართვაში. მე კატეგორიულად ვაცხადებ, ამხ. ცხენნალის წერილში აღნიშნული ბრალდება სიმართლეს არ შეიცავს.

მე ყველა წითელ არმიელებს მეგობრულად ვეპყრობი და მით უმეტეს ჩემი ჯგუფის ამხანაგებთან სრულიად ძმურ განწყობილებაში ვარ.

კორესპონდენტი „ცხენ-ნალი“ არ არის ჩემი ჯგუფის წ. არმიელი და არც იცის მან თუ რა დამოკიდებულება მაქვს მე ჯგუფის შემადგენლობასთან.

ამას ამტკიცებს ქვემოდ ჩემი ჯგუფის წ. არმიელების ხელის მოწერა, რის შემდეგ მეტი მტკიცება საჭიროდ აღარ მიმაჩნია.

საკავშირო ჯგუფის

მეკუჭნავე კ. მუქერია.

**რედაქციის შენიშვნა.** წერილის სიმართლეს ამოწმებენ შემდეგი არმიელები:

ცარციძე, გრიმალაშვილი, ადამია, შალვა გუბელაძე, დეისაძე, დევიძე, ჩილაჩავა, ყორყოლაძე, დარსაველიძე, გ. გველესიანი, ა. ჯომიდავა, თათალაძე და ზემდეგი ჯორჯაძე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე ვმსახურებ თბილისის სამხედრო მაზრის კომისარიატში უნცროს საქმის მწარმოებლად. მსურს ჩავეწერო პროფ. კავშირში. გთხოვთ მიპასუხოთ მაქვს თუ არა უფლება და თუ მაქვს ვის მივმართო?

ირაკლი ბაქრაძე.

**პასუხი.** მიმართეთ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირს.

**კითხვა.** ექიმმა გამომიწერა რეცეფტი, მარა მე წამლის სასყიდელი ფული არ მაქვს. ვის უნდა მივმართო?

წ. არმ. ტაბატაძე.

**პასუხი.** მიმართეთ ჯანმრთელობის განყოფილებას, როგორც წითელ-არმიელს დახმარებას აღმოგიჩენს.

**კითხვა.** ვარ კომკავშირის წევრი, მინდა გადავიდე კომპარტიის წევრად. ვის უნდა მივმართო?

ვ. ვაშაკიძე.

**პასუხი.** შეიტანეთ განცხადება კომუჯრედში.

**კითხვა.** ვარ მონადირეთა კავშირის წევრი 1922 წ. გთხოვთ მიპასუხოთ საწევრო გადასახადს ვიხდი თუ არა როგორც წითელ არმიელი?

წ. არმ. გორათისუბნელი.

**პასუხი.** წესდებაში ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული. მიმართეთ გამგეობას, შეიძლება გაგანთავისუფლონ გადასახადიდან, როგორც წითელ-არმიელი.

**კითხვა.** აგვისტოს ავანტიურულ გამოსვლების დროს ჩვენი უნაგირი წაიღეს, რომელიც არ დაუბრუნებიათ. შეაფასეს დაკარგული უნაგირი 25 მან. ვის უნდა მივმართო?

წით. არმ. ცაბავა.

**პასუხი.** მიმართეთ აღმასკომს.

**კითხვა.** მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა რამდენ ხნის შემდეგ შეუძლია წითელ-არმიელს?

ი. ჩუტლაშვილი.

**პასუხი.** ერთი წლის სამსახურის შესრულების შემდეგ.

**კითხვა.** ვმსახურებდი მე-4 ლეგიონში 10 თვის, შემდეგ გადამიყვანეს მე 2 არტლეგიონში. მინდა გადმოვიდე ისევ მე-4 ლეგიონში ვის უნდა მივმართო?

**პასუხი.** მიმართეთ ლეგთავს.

**კითხვა.** ავადმყოფობის გამო ხუთ თვეს ვიყავი შვებულებაში. მოსვლის შემდეგ მომცეს ძველი ტანისამოსი. მომეცემა თუ არა ახალი?

წ. არმ. მაკარიანცი.

**პასუხი.** თუ სახმარებლად უვარგისია თქვენი ტანსაცმელი მოგვეცემათ სხვა.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ოდიშარიას.** (1ლი ლეგიონი) თქვენი წერილი „არ შედრკება მათი გული“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. დ—ი-ს** თქვენი კორესპონდენცია „პასუხის პასუხი“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. თ—26-ს** (მეხუთე ლეგიონი)—კორესპონდენცია „მიაქციეთ ყურადღება“ წვრილმანია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. თავართქილაძეს** (პოლიტსკოლა) თქვენი ნაწ[...] ცხოვრების შესახებ წერილი არ გამოდგა. ერთობ ძველ[...] ბავია მოთხრობილი შიგ.

**ამხ. ლეონ ხლიაძეს** (5-თე ლეგ.) უვადო შვებუ[...]ში წასულთა შესახებ წერილი ძლიერ დაგვიანებულია.

**ამხ. ნინუაკუთხელს** (1-ლი მესანგრე) და **ახალციხ**[...] (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები, „ახალ-წვეუ[...] მოლოდინში“ და კინო სურათები არმიელებისათვის არ[...] სტამბებიან.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

## განცხადება

თანახმად თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის ს[...]ქციის ბიუროს ა. წ. 17 სექტემბრის სხდომაზე მ[...]ღებულ დადგენილებისა, ცხადდება ბიუროსა დ[...] ქვე-სექციის წევრთა საყურადღებოდ, რომ სხდომებ[...] დანიშნულია ყოველ კვირაში შაბათობით დღის 1[...] საათზე, ხოლო ქვე-სექციის სხდომები-ყოველ ხუთ[...]ბათს საღამოს 7 საათზე.

**ჯანმრთელობის განყოფილება.**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 1 ოქტომბრიდან შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემდეგი

### ზამთრის ცხრილი

### ცხრილი სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი

**1925 წ. 1 ოქტომბრიდან მატარებლები, რომლებიც გადიან თბილისიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩქარი მატ. № 1 გადის მოსკოვში 23 ს. 55 წ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით | მიდის მოსკოვში | 16 ს. | 45 წ. | პარასკ. და კვირაობ. |
| „ მატ. № 1 „ ლენინგრ. 23 ს. 55 წ. კვირაობ. | „ ლენინგრადში | 10 ს. | 40 წ. | პარასკეობით |
| საფოს. „ № 3 „ როსტოვში 9 ს. 25 წ. ყოველდ. | „ როსტოვში | 5 ს. | 30 წ. | ყოველდღე |
| „ „ № 3-დ გად. ჯულფაში 18 ს. 00 წ. „ | „ ჯულფაში | 22 ს. | 25 წ. | „ |
| საფ. „ № 4 „ ბათომში 22 ს. 55 წ. „ | „ ბათომში | 13 ს. | 00 წ. | „ |
| საფ. „ № 3 კახ. გად. თელავ. 23 ს. 25 წ. „ | „ თელავში | 7 ს. | 30 წ. | „ |
| სამგზ. „ № 7 გად. ბაქოში 14 ს. 40 წ. „ | „ ბაქოში | 7 ს. | 15 წ. | „ |
| „ „ № 8 „ ბათომში 16 ს. 30 წ. „ | „ ბათომში | 4 ს. | 35 წ. | „ |
| „ „ № 10 „ ფოთში 20 ს. 00 წ. „ | „ ფოთში | 9 ს. | 35 წ. | „ |
| „ „ № 16 „ ხაშურში 7 ს. 50 წ. „ | „ ხაშურში | 12 ს. | 25 წ. | „ |
| „ „ № 20 „ ბორჯომში 15 ს. 00 წ. „ | „ ბორჯომში | 21 ს. | 05 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 21 „ ბაქოში 19 ს. 20 წ. „ | „ ბაქოში | 23 ს. | 55 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 22 „ ბათომში 0 ს. 15 წ. „ | „ ბათომში | 22 ს. | 25 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 21-ე „ ერევანში 7 ს. 35 წ. „ | „ ერევანში | 8 ს. | 10 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ.№ 21-კახ. გად. წნორ-წყ. 9. ს. 00 წ. „ | „ წნორის-წყალში | 17 ს. | 55 წ. | „ |

**მატარებლები, რომლებიც მოდიან ტფილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩქარი მ. № 2 გამოდის მოსკოვიდან 13 ს. და 10 წ. სამშაბათ. და ხუთშაბათობით | მოდის ტფილისში | 5 ს. | 45 წ. | შაბათობით და ორშაბათობით |
| „ „ № 2 ლენინგრადიდან 23 ს. 00 წ. კვირაობით | „ „ | 5 ს. | 45 წ. | პარასკევობით |
| საფოსტ. მ. № 4 როსტოვიდან ყოველდღე 23 ს. 50 წ. | „ „ | 21 ს. | 05 წ. | ყოველდღე |
| „ „ № 3 ბათომიდან „ 17 „ 00 „ | „ „ | 7 ს. | 40 წ. | „ |
| „ „ № 4-დ ჯულფიდან „ 6 „ 35 „ | „ „ | 11 ს. | 30 წ. | „ |
| „ „ № 4-კახ. თელავიდან „ 9 „ 30 „ | „ „ | 17 ს. | 50 წ. | „ |
| სამგზ. „ „ მ. № 7 გამ. ბათომიდან ყოველდღე 0 ს. 15 წ. | „ „ | 13 ს. | 10 წ. | „ |
| „ „ № 8 ბაქოდან „ 21 ს. 15 წ. | „ „ | 14 ს. | 50 წ. | „ |
| „ „ № 9 „ ფოთიდან „ 15 ს. 45 წ. | „ „ | 5 ს. | 30 წ. | „ |
| „ „ № 15 „ ხაშურიდან „ 18 ს. 30 წ. | „ „ | 20 ს. | 45 წ. | „ |
| „ „ № 19 „ ბორჯომიდან „ 0 ს. 45 წ. | „ „ | 6 ს. | 50 წ. | „ |
| საბ. სამგზ. მატ. № 21 გამ. ბათომ. „ 5 ს. 10 წ. | „ „ | 3 ს. | 35 წ. | „ |
| „ „ № 22 გამ. ბაქოდ. „ 7 ს. 00 წ. | „ „ | 13 ს. | 15 წ. | „ |
| „ „ მატ. № 22-ე გამ. ერევნიდან „ 21 ს. 15 წ. | „ „ | 22 ს. | 00 წ. | „ |
| „ № 22. კახ. და წნორის-წყლიდან „ 10 ს. 35 წ. | „ „ | 6 ს. | 10 წ. | „ |

**შენიშვნა:** 1) მატარებლების გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია მოსკოვის დროის მიხედვით (24 საათის ანგარიშით); მოსკოვის დრო ადგილობრივი დროს ჩამორჩება ერთი საათით. 2) დამატებითი ჩქარი მატარებელი №1 და № 2 მოსკოვი—ტფილისი პირველად მოვა მატ. № 2 ტფილისში ზამთრის ცხრილის მიხედვით შაბათს 10 ოქტომბერს და უკან გავა ტფილისიდან მოსკოვში მატ. № 1 ორშაბათს 12 ოქტომბერს და სხვა აღნიშნულ დღეებში. 3) მატ. №№ 9 და 10-თან ყოველდღე დადის 3 ვაგონი პირდაპირ ტფილისიდან ქუთაისში. 4) ზამთრის ცხრილზე გადასვლის გამო 30, სექტემბერს მატ. № 10 ტფილისიდან ფოთში გავა ახალი ცხრილის მიხედვით და მატ. № 22 ტფილისიდან ბათომში იმავე 30 სექტემბერს უქმდება და ეს მატარებელი გავა 1 ოქტომბერს ახალი ცხრილის მიხედვით. 5) სადგურებს შორის არსებულ ბაქანებზე გაჩერება ტფილისიდან ხაშურამდე უბარგო მგზავრების ჩასაჯდომათ და ჩამოსახტომად, იქნება მხოლოდ მატარებლებს, №№ 15, 16, 19 და 20 დანარჩენ მატარებლებს ამ უბანში ბაქანებზე გაჩერება არ ექნებათ. 6) რბილ ადგილებიანი ვაგონები მიბმული იქნება შემდეგ მატარებლებზე: №№ 1 და 2 თბილისი-მოსკოვი-ლენინგრადი, №№ 3 და 4 თბილისი-როსტოვი, №№ 3 და 4—თბილისი-ჯულფა №№ 3 და 4—ტფილისი-ბათომი და 7 და 8—თბილისი-ბაქო და თბილისი-ბათომი. ყველა ამ მატარებლებში რბილი ადგილები დანომრილია—დასაწოლად, ხოლო მატარებლები № 3 და 4 თბილისი-თელავი №№ 9 და 10 თბილისი-ფოთი და №№ 19—20—თბილისი-ბორჯომი, რბილი ადგილები დანაწილებულია დასაჯდომად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.